



მე-5 საერთაშორისო სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოფენა BATUMBUILD 2015

გაცნობებთ, რომ მე-5 საერთაშორისო სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოფენა "BATUMBUILD 2015" მიმდინარე წლის 17-19 დეკემბერს, ქალაქ ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ გაიმართება, რომლის ორგანიზატორია საქართველოში ერთ-ერთი საგამოფენო კომპანია "GEONET EXPO".

"GEONET EXPO" საქართველოში ერთ-ერთი პირველი საგამოფენო კომპანიაა და ბათუმში გამოფენების ორგანიზებით, ხელს უწყობს რეგიონში გამოფენების განვითარებას, მისი ძირითადი მიზანია ბათუმში საერთაშორისო გამოფენების ორგანიზება. „BATUMBUILD 2015“ თანაორგანიზატორები არიან: აჭარის ა.რ. მთავრობა, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია და აჭარის ტელევიზია – მედია მხარდამჭერი.

წელს პირველად გამოფენაში საერთაშორისო და ადგილობრივი უძრავ მოძრავი ქონების სააგენტოებიც ჩაერთვებიან, რომლებიც კომპანიებთან საქმიან ურთიერთობებს ადგილზე დაამყარებენ, რაც ისევ და ისევ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკურ ზრდას ჩვენს რეგიონში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ახალი ტექნოლოგიები, სხვადასხვა უცხოური და ქართული კომპანიების პროდუქცია, როგორც არის სამშენებლო მასალები, დანადგარები, სამშენებლო აღჭურვილობა, კონდიციონერებისა და გაგრილების სისტემები, არქიტექტურული ტექნოლოგიები, ასევე ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი.

გამოფენა ფართო მასშტაბის მატარებელია, მასში ბევრი ქვეყანა იღებს მონაწილეობას და წლიდან წლამდე უფრო მიმზიდველი და შედეგის მომტანი ხდება. "ბათუმის მე-5 საერთაშორისო სამშენებლო და დიზაინის გამოფენა 2015"-ში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კომპანიები. გამოფენა საშუალებას მისცემს მონაწილე კომპანიებს გააცნოს თავისი პროდუქცია თუ სერვისი ფართო მომხმარებელს, გაცვალოს ბიზნეს კონტაქტები, გაეცნოს სამშენებლო და დიზაინის სფეროში არსებულ სიახლეებს და ახალ ტექნოლოგიებს.

გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ კომპანიები შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, სომხეთი, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი და სხვა. გამოფენის მიმდინარეობისას იგეგმება სარეკლამო, საინფორმაციო ტურები, პრეზენტაციები მონაწილეთათვის და შეხვედრები მასმედიის წარმომადგენლებთან.



შპს „GEONET EXPO“

www.geonetexpo.ge

საქართველო, ბათუმი, ბაქოს ქ. N50

E-mail: info@geonetexpo.ge